საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 827

თბილისი „21“ 06 2019 წ.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისა და საბაზო საფეხურის VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 21 ივნისის N823273 წერილის, „ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა (რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) მოსაზრებების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის N619 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 21 ივნისის N825677 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გრიფის მინიჭებაზე უარი ეთქვას ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებს.
2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ირინე აბულაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	კლასი	სახელმძღვანელოს ID
სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	სავალდებულო	VII	1058
				1137
				1139
				1182
მათემატიკა	მათემატიკა	სავალდებულო	VII	1037
				1063
				1088
				1110
				1119
				1167
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ისტორია	სავალდებულო	VII	1104
				1142
				1165
				1181
	გეოგრაფია	სავალდებულო	VII	1084
				1162
				1190
	მოქალაქეობა	სავალდებულო	VII	1147
				1166
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბიოლოგია	სავალდებულო	VII	1121
				1194
				1197
	ფიზიკა	სავალდებულო	VII	1070
				1155
				1164
უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	სავალდებულო	VII	1023
				1186
	მეორე უცხოური ენა (რუსული)	სავალდებულო	VII	1047
				1091
				1105
				1193
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სავალდებულო	VII	1116
				1188
	მუსიკა	სავალდებულო	VII	1082
				1130
				1180
				1192
სპორტი	ფიზიკური აღზრდა	სავალდებულო	V-VI	1152
				1255
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	სავალდებულო	VII	1154
				1256